საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №128

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი, 2017 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მიზნობრივი პროექტის შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი.

2. კონკურსის გამოცხადების სამართლებრივ აქტში მიეთითება:

ა) დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებები, **მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართა** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან **ბოლო შვიდი წლის პერიოდში)** კვლევის მიმართულება;

ბ) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

გ) კონკურსის ვადები;

დ) მიზნობრივი პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი, თითოეული პროექტის დაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართათვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა;

ე) მიზნობრივი პროექტების განხორციელების ვადები;

ვ) სხვა საკონკურსო პირობები, წინამდებარე დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2[1]. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულება ან/და საკონკურსო განაცხადის არარსებობის (არ შემოტანის) შემთხვევაში, დაფინანსების (ბიუჯეტის) სხვა მიმართულებაზე გადანაწილების შესახებ.“

გ) მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პროექტის პერსონალის შემადგენლობიდან:

ა) პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტში დასაქმებული პირი ან უნივერსიტეტის ემერიტუსი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელი იქნება პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის ეფექტურ მართვაზე და ადმინისტრირებაზე. **პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) შეიძლება იყოს ახალგაზრდა მკვლევარი,** პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან **ბოლო შვიდი წლის პერიოდში და მუშაობს უნივერსიტეტში;**

ბ) ძირითადი პერსონალი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტში დასაქმებული პირი ან უნივერსიტეტის ემერიტუსი (აუცილებელი და დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია სხვა პირის (სპეციალისტის) მოწვევა). ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის დოქტორანტი;

გ) ახალგაზრდა მკვლევარის კონსულტანტი (ამ მიმართულებით კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც განიხილება ძირითადი პერსონალის შემადგენლობაში და რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას კვლევის განხორციელების პროცესში.

დ) დამხმარე პერსონალი უნდა იყოს უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც დაეხმარებიან ძირითად პერსონალს წამოჭრილი ტექნიკური პრობლემების გადაჭ-რაში. ახალგაზრდა მკვლევართათვის კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება ჩართული იქნეს არაუმეტეს ორი უნივერსიტეტის მაგისტრანტი ან/და დოქტორანტი.“

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**